პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 მაისი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 99 (10 018) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შემომაქვს წინადადება...

ცნობილია, რომ დღევანდელი „ლოკომოტივის" სტადიონის ადგილზე, ვაკეში, შვიდი ათეული წლის წინათ, 26 მაისს გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ეროვნული ზეიმი.

შემომაქვს წინადადება: „ლოკომოტივის" სტადიონს, რომელიც ამჟამად რეკონსტრუქციაშია, გახსნის შემდეგ დაერქვას „26 მაისის სახელობის სტადიონი".

კარგი იქნება მომავალი წლიდან თუ სწორედ ამ სტადიონზე გაიმართება 26 მაისის განახლებული ზეიმები.

**ალექსანდრე ქლენტი.**
კინორეჟისორი.
თბილისი.

1919 წლის 26 მაისი. თბილისი. სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, აღბეჭდილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის სპორტული ფრაგმენტი. (ფოტო საქართველოს სპორტული მუზეუმიდან).

იხ. 30-2. 30-3 გვ.

წყალბურთელთა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

თბილისი 1989

# ქართველები საქართველოს ღირსებას იცავენ

**ამ ტურნირმა, რომელიც ტრადიციისამებრ ლენინური კომკავშირის სახელობის საწყალოსნო კომპლექსში ტარდება, კარგა ხანია, რაც მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული და ავტორიტეტული ასპარეზობის სახელი დაიგდო. სხვადასხვა წლებში აქ უასპარეზიათ მსოფლიო წყალბურთის ისეთ უძლიერეს წარმომადგენლებს, როგორებიცაა სსრ კავშირის, უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. აქ უასპარეზიათ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთისა და იტალიის გუნდებსაც, რომლებიც ბოლო წლებში შეუპოვრად მიიწევენ ოლიმპოსაკენ. თბილისში გვინახავს რუმინეთის, ჰოლანდიის, კუბის, შვეციის, ბულგარეთისა და საბერძნეთის წყალბურთელთა გამოსვლებიც. ეს ყველაფერი სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ თბილისის ტურნირი მეტად პოპულარულია და მასში მონაწილეობა ყველასათვის სასურველი და სასიამოვნოა.**

თბილისის ტურნირის რეკორდსმენია სსრ კავშირის პირველი ნაკრები, რომელიც, ისევე როგორც საქართველოს გუნდი, ამ შეჯიბრების უცვლელი მონაწილეა და უკვე გამართული ათი პაექრობიდან მთავარი პრიზი ქვეყნის ნაკრებმა მხოლოდ ერთხელ დათმო. მაშინ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზი მოიპოვა რუმინეთის გუნდმა, რომელმაც საბჭოთა ნაკრებს მხოლოდ მიღებული და გატანილი ბურთების უკეთესი შეფარდებით აჯობა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, იგი რამდენჯერმე ტურნირის პრიზიორი გახდა, საუკეთესო შედეგს კი 1986 წელს მიაღწია, როცა მეორე ადგილი მოიპოვა. მაშინ ჩვენმა გუნდმა თვით უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდებს აჯობა.

წლევანდელ ტურნირში, რომელიც გუშინ დაიწყო, მონაწილეობენ: აშშ-ის, ბულგარეთის, გფრ-ის, საბერძნეთის, უნგრეთის, სსრ კავშირის პირველი და მეორე ნაკრები, აგრეთვე საქართველოს გუნდი, რომელიც თბილისის დინამოელებით დაკომპლექტდა.

შეჯიბრების მონაწილენი ორ ჯგუფად, თავდაპირველად წრიული სისტემით იასპარეზებენ. საქართველოს ნაკრები სსრ კავშირის მეორე, აშშ-ისა და უნგრეთის გუნდების ჯგუფში გამოდის.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დინამოელები ალექსანდრე ბითაძე, ვარლამ მაჭავარიანი, დიმიტრი რამიშვილი და მცველი მიხეილ გიორგაძე სსრ კავშირის მეორე ნაკრების შემადგენლობაში მიიწვიეს, მაგრამ ახლა ისინი საქართველოს გუნდის ინტერესებს დაიცავენ, მით უმეტეს, რომ ჩვენებს დღესდღეობით მეტად უჭირთ. — ავადაა თბილისელთა მეკარე მიხეილ გიორგაძე, რის გამოც იგი გუნდის შემადგენლობაში არ არის და, გახსოვთ ალბათ, გიორგი ზუმბულიძე, დევი გვახარია და კახა კანდელაკი დისკვალიფიცირებულნი არიან. ამასთან, უდისციპლინობის გამო, გუნდიდან გარიცხეს დავითაია. ასე რომ, მასპინძლებს ერთბაშად ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლიათ.

გუშინ ტურნირი საქართველოსა და სსრ კავშირის მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრით დაიწყო. მასპინძელთა გუნდი საასპარეზოდ პირველად გამოიყვანა მისმა ახალმა კაპიტანმა ალექსანდრე ბითაძემ, რომელიც გუნდმა გუშინწინ გამართულ კრებაზე აირჩია.

ყოველივე ამის გამო ჩვენი გუნდის დანაკლისი ახალგაზრდებმა შეავსეს. ესენი იყვნენ: კერესელიძე, ხარიბოვი, ტატიშვილი, გონაძე და მარგიევი (მათ გარდა თამაშობდნენ: გიორგაძე, ბაღათურია, ბითაძე, კუტივაძე, ასათიანი, მაჭავარიანი, რამიშვილი და ჩოლარია). პირველი მატჩის მიხედვით დებიუტანტები საყვედურს არ იმსახურებენ. პირიქით, მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა მეკარე კერესელიძემ, რომელმაც, შეიძლება ითქვას, უშეცდომოდ ითამაშა და ორჯერ პენალტიც მოიგერია.

ამ მატჩში ანგარიში სტუმრებმა (პოტულნიცკი) გახსნეს, შემდეგ კი ისინი თამაშის ბოლომდე, მდევრების როლში იყვნენ. მეოთხე პერიოდში საქართველოს ნაკრები სამი ბურთის უპირატესობითაც კი დაწინაურდა — 8:5. ამის შემდეგ, ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა,ეტყობა გამოუცდელობის გამო, ზედიზედ სამი უპასუხო ბურთი გაუშვა. საბოლოოდ ფრე — 8:8.

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს: რამიშვილმა, ბითაძემ (3-3), გიორგაძემ და ასათიანმა, სტუმართაგან — კონსტანტინოვმა (3), ბელოფასტოვმა (2), პოტულნიცკიმ, პანკოვმა და ქმუდსკიმ.

**ავთანდილ ბურახაშვილი.**

„ნორჩი ლენინელის" პრიზზე

# მოზარდი ფალავნების ზეიმი



**სიტყვას** ვაძლევთ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **ბიძინა მაზიაშვილს**, რომელიც შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო:

— მართალი გითხრათ, ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც პირველად შემომთავაზეს ყოფილიყავი შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთოდ წინააღმდეგი ვიყავი ამ პირველობისა. აბა, რა უნდა ყოფილიყო 11-12 წლის ბავშვების შეჯიბრება, ძალიან პატარები არიან მეთქი. მაგრამ ის პირველი ტურნირი ისე კარგად ჩატარდა, აზრი შევიცვალე. მას შემდეგ რამდენჯერმე მიმიწვიეს მთავარ მსაჯად. პირდაპირ საკვირველია, ისე მომზადებული ბავშვები გამოდიან, ნაცადი ოსტატები გეგონებათ. სოფლებში ბავშვებს საამაყოდ მიაჩნიათ, ვივარჯიშებთ და ასეთ დიდ სარბიელზე გამოვალთო. ეს შეჯიბრება ქართული ჭიდაობის ნამდვილი ზეიმია, რომელშიც მონაწილეობა მართლაც ოცნებაა ბევრისთვის.

ამასთან, ტურნირი მრავალეტაპიანია და თითქმის მთელ საქართველოს მოიცავს. ისეთ რაიონებს გამოჰყავთ გუნდები, არც კი ვიცოდი ადრე თუ იქ ქართული ჭიდაობა არსებობდა. ესე იგი, ვისაც სურს ყველას შეუძლია სცადოს ძალა, ყველა პატარა მოჭიდავეს ეძლევა ამის უფლება.

ეს შეჯიბრებაც კარგად ჩატარდა. ამასთან ბავშვები თავისუფალ დროს დაჰყავდათ ექსკურსიებზე, ყურადღებას არ აკლებდნენ.

მაგრამ მე კრიტიკული შენიშვნებიც მაქვს. არაფრით არ შეიძლება ჩხუბი და კამათი ბავშვების თვალწინ, რის უფლებასაც აძლევდა საკუთარ თავს ზოგიერთი მწვრთნელი. აბა რა უნდა ისწავლოს ბავშვმა ისეთი დამრიგებლისაგან, რომელიც გაუთავებლად აპროტესტებს შედეგებს, ილანძღება. ბოლოს და ბოლოს, ტურნირი პატარა ბავშვების შეჯიბრე-

იხ. 30-4 გვ.



ახმეტის ნორჩ მოჭიდავეთა გუნდი.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

**23 მაისს** დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები. ამ დღეს მოსკოვის „დინამომ" მიიღო ოდესის „ჩერნომორეცი", გამარჯვება ოდესელ ფეხბურთელებს ხვდათ წილად — 2:1.

გუშინ თბილისის დინამოელები თავიანთ მინდორზე შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკს".

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 1:0.

გუშინდელი სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია:

**„პამირი" — „დნეპრი" 0:1**

**„ლოკომოტივი" — „დინამო" მნ. 0:1**

**„ზენიტი" — „ტორპედო" 1:1**

**„არარატი" — „შახტიორი" 2:0**

# მსოფლიოს უსწრაფესი მოცურავე ამერიკელთა გუნდშია

**ბილ ბარნეტსა და დანტე დეტამანტს** — აშშ-ის ნაკრები გუნდის მწვრთნელებს, ოდნავაც არ გაჰკვირვებიათ, რომ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე წყალბურთელთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს სტუმართაგან ჩვენს გაზეთში პირველები იქნებოდნენ წარდგენილნი. საქმე ისაა, რომ სეულის ოლიმპიადის შემდეგ მსოფლიო წყალბურთის ორკესტრმა მათ „მეორე ვიოლინოს" როლი მიაკუთვნა. ამერიკელებმა, რომლებმაც იუგოსლაველ წყალბურთელებთან წააგეს და საბჭოთა ნაკრებს მოუგეს, ბევრისთვის მოულოდნელად, ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. სწორედ ამიტომ ამ ტურნირზე პირველი ინტერვიუ ამერიკელებს ჩამოვართვით.

**● თქვენ ძალზე მოულოდნელად შეიჭერით წყალბურთის ელიტაში. რით ახსნით ამ წარმატებას?**

**ბილ ბარნეტი:** სეულის ოლიმპიადაზე ჩვენ ყველაზე „ხანდაზმული" გუნდი ვიყავით — მონაწილეთა საშუალო ასაკი 27-28 წელი იყო.

ჩვენი თამაშის კოზირი სისწრაფეა. ვეძებთ ახალ მოთამაშეებს, რათა გუნდი გავაახალგაზრდავოთ. ვიცეჩემპიონთაგან თბილისში მხოლოდ სამი მოთამაშე ჩამოვიყვანეთ.

**● რას აკეთებს თქვენთან ერთად მეტ ბიონდი? ჩვენთვის ამ მოცურავის სახელი კარგად არის ცნობილი — იგი ხომ ხუთი ოლიმპიური მედლის მფლობელია.**

**დანტე დეტამანტი:** იგი ახლა... წყალბურთს თამაშობს. ბიონდი ამ სახეობით ადრეც იყო გატაცებული. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ცურვაში ვარჯიშს სერიოზულად მოჰკიდებდა ხელს. სხვათა შორის, საქმე კარგად მიდის. ფაქტობრივად თბილისიდან ვიწყებთ გუნდის გაახალგაზრდავებას, რომლის საშუალო ასაკი 22-23 წელი იქნება.

გადაეცით ყველა ქართველ სპორტის გულშემატკივარს, საქართველოს ყველა მცხოვრებს ჩვენი ღრმა თანაგრძნობა და კეთილი სურვილები.

## გუშინ...

**სასიამოვნო შესწორება შეიტანეს 16 წლამდე ასაკის მოცურავე გოგონების საქართველოს რეკორდების ცხრილში. 50 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ახალი მიღწევაა — 34.16. ეს შედეგი თბილისელმა ი. ბიკოვამ („დინამო") აჩვენა ვაკის საცურაო აუზში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში.**

# 26 მაისი—საქართველოს სახელმწიფოებრი[...]
# ფართოდ აღინიშნება მთელს ჩვენს რ[...]

# „გუმაგობ ერს!“

**1918 წლის 26 მაისს,** შეიქმნა რა ხელსაყრელი პირობები თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების შემდეგ, საქართველო გამოცხადდა „დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად“. ფრთები შეესხა ქართველი ხალხის საუკუნო ოცნებას, მოპოვებულ იქნა ნანატრი დამოუკიდებლობა. სამ წელიწადს იარსება დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ, მაგრამ ამ მცირე ხნის მანძილზე, უაღრესად მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ბევრი რამ გაკეთდა სახალხო განათლების, კერძოდ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში. სამწუხაროდ, მიჰყვებოდნენ რა პოლიტიკური იდეოლოგების მიერ ნაჩვენებ ხაზს, ჩვენი ისტორიკოსები მთელი 70 წლის მანძილზე ცდილობდნენ არაფერი ან თითქმის არაფერი ეთქვათ ამ პერიოდზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში, და სპორტის ისტორიაშიც თეთრ ლაქად ტოვებდნენ მას. თუ დღეს ვიცით ზოგი სიმართლე აღნიშნული პერიოდის სპორტულ კულტურაზე, ეს რამდენიმე გაბედული ავტორის წყალობაა (გ. მერკვილაძე, ზ. შერაზადიშვილი და სხვანი), რომლებიც მკაცრ ვეტოდადებულ ამ პერიოდზე მაინც ბედავდნენ ჭეშმარიტების წერას.

დღეს დუმილის ყინული გაიბზარა და ლხვება. ხალხმა უნდა იცოდეს სრული სიმართლე. შევეცდები, ზემოხსენებული ავტორების შრომების, ძველ „შევარდნელთა“ გამოკითხვით მიღებული მასალების, მაშინდელი პრესისა და საარქივო დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე მკითხველს მივაწოდო ჩვენი დამოუკიდებელი რესპუბლიკის სამწლიანი პერიოდის სპორტული კულტურის მოკლე ისტორია.

• • •

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ისტორიაში, შეიძლება ითქვას, უმთავრეს ღერძად გვევლინება ტანვარჯიშული საზოგადოების — „შევარდენის“ შექმნა 1918 წლის 25 აგვისტოს და შემდეგ მისი უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა. ხშირად გაოცებით შენიშნავენ: ამ პატარა ქვეყანაში იმისთანა რა საფუძველი არსებობდა, რომ შექმნილიყო სპორტული საზოგადოება, რომელიც მუშაობის მასშტაბით ტოლს არ უდებდა სხვა მომძლავრებული სახელმწიფოების სპორტულ საზოგადოებებს და თვით ჩეხეთს, „სოკოლური“ მოძრაობის სამშობლოს, აოცებდა თავისი აღსაზრდელების ტრიუმფალური გამოსვლებით ევროპის ტანვარჯიშულ არენებზეო.

საფუძველი კი ჭეშმარიტად არსებობდა. ჩვენ თავი გვქონდა გამოჭედილი საქართველოს მენშევიკური მთავრობის ლიდერთა სიბეცეზე ლაპარაკით, მათ ხალხისთვის არ ეცალათო. არადა, 1918 წლის სექტემბრიდან, როცა მოხდა სახალხო განათლების სისტემის არსებითი რეორგანიზაცია, სასკოლო ფიზიკურ აღზრდასაც გაეწია გარკვეული ანგარიში. 1919 წლით დათარიღებული ერთი საარქივო დოკუმენტი, კერძოდ, სამინისტროს ანგარიში, გვაუწყებს: „სამინისტრო სათანადო ანგარიშს უწევს მოზარდი თაობის ფიზიკურად გაჯანსაღების მნიშვნელობას და ამიტომ დიდის ყურადღებით ეკიდება სკოლებში ტანვარჯიშობის ჯეროვნად დაყენებას. სამინისტრომ მთავრობას წარუდგინა პროექტი სკოლებში ტანვარჯიშის მოსაგვარებლად მთავარი ინსტრუქტორის თანამდებობის დაწესების შესახებ. ამ პროექტს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ“. ამ პროექტის ხორცშესხმა იმით დაიწყო, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე იმავე წელს დაინიშნა ქართული ტანვარჯიშის კორიფე გიორგი ეგნატაშვილი. სკოლებში შემოიღეს საგანი „ფიზიკური აღზრდა“. ეს საგანი დამკვიდრდა თბილისის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე გიმნაზიების სასწავლო გეგმაში: ქუთაისის, ფოთის, ხონის, გორის, თელავის, ზუგდიდის, სოხუმის, ახალსენაკის, ოზურგეთის, ზესტაფონის (ყვირილის) გიმნაზიებში, თბილისის ქალთა შვიდ გიმნაზიაში, ქუთაისის ოთხ გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებლებში, თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, გორის სამასწავლებლო, ხონის საოსტატო და სოხუმის სამასწავლებლო სემინარიებში, თამარ მეფის სახელობის თბილისის ქალთა საოსტატო სემინარიაში, ბოდბისა და ოზურგეთის ქალთა საოსტატო სემინარიებში, კიდევ მრავალ დაწყებით სკოლაში, კომერციულ და რკინიგზის სასწავლებლებში, ერთკლასიან სასოფლო სკოლებში და სხვაგან, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად ფუნქციონირებდა ფიზიკური აღზრდის კომერციული სასწავლებლები, რომლებსაც უმთავრესად უცხოეთიდან და რუსეთიდან ჩამოსული სპეციალისტები ხელმძღვანელობდნენ. მათს შორის გამოირჩეოდა ჟანა მატინსონის რიტმული ტანვარჯიშის სკოლა და ალექსენიანის მასაჟისა და საექიმო ჰიგიენური ტანვარჯიშის სკოლა. 1921 წლის დასაწყისში თბილისში უნდა გახსნილიყო ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ამ ინსტიტუტის დაარსების თაოსნებმა დატოვეს საქართველო.

„შევარდენის“ დაარსებისა და მისი მოღვაწეობის ფართოდ გაშლის საფუძვლად ისიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ 1919 წლამდე საქართველოში გამოდიოდა პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“, რომელსაც ცნობილი მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე რედაქტორობდა. მისი ფურცლებიდან მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე ჩვენს მაშინდელ საზოგადოებრიობას ხშირად ესმოდა ასეთი დარიგებები: „ბავშვის გონებრივს ცხოვრებას მჭიდრო კავშირი აქვს მის ფიზიკურ ბუნებასთან... სკოლა უნდა ზრუნავდეს მოწაფის როგორც სულის, ისე მისი ფიზიკური ცხოვრების ორგანოების განვითარებაზე,... როგორც სულის, ისე სხეულის სიმრთელე აუცილებელი პირობაა წესიერი და კარგი აღზრდისა“ (1919, №1), „გონებრივი და ფიზიკური განვითარება ერთი მეორის შეთანხმებულად უნდა სწარმოებდეს, ვინაიდან, რომაელების თქმისა არ იყოს, ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულშია“ (1919, №2).

არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ „შევარდენს“ წინ უსწრებდა სპორტული საზოგადოება „ამირანი“, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციაში. იგი ჯერ კიდევ 1917 წელს შეიქმნა „საქართველოს მხედართა კავშირთან“. საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ცნობილი ტანმოვარჯიშე გაიოზ ბერელაშვილი. მის მხარდამხარ მოღვაწეობდნენ დათა ჯავრიშვილი და მწერალი სეზმან ერთაწმინდელი. მაგრამ „ამირანი“ შედარებით კარჩაკეტილი საზოგადოება აღმოჩნდა. დამოუკიდებელი საქართველოს შექმნიდან რამოდენიმე თვის შემდეგ დაისვა საკითხი, რომ „ამირანის“ ბაზაზე შექმნილიყო სხვა, უფრო ავტორიტეტული, მასობრივი და ახალი ცხოვრებისათვის შესაფერი ტანვრაჯიშული საზოგადოება.

„შევარდენის“ შექმნას და მის მომდევნო წარმატებულ საქმიანობას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ ჩეხური „სოკოლის“ მოღვაწეებმა, განსაკუთრებით ლუკეშმა, ვახეკმა, გრუმლიკმა, კოუბამ და სხვებმა წინა წლებში მოამზადეს შესანიშნავი კადრები, უძლიერესი ტანმოვარჯიშეები და მწვრთნელები, რომლებიც წარმატებით წარუძღვნენ მუშაობას ამ საზოგადოებაში. ეს პირველ ყოვლისა ითქმის გიორგი ეგნატაშვილზე, ჩვენი ტანვარჯიშული მოძრაობის პატრიარქზე, დიდ მეცნიერსა და მოქალაქეზე გიორგი ნიკოლაძეზე, გიორგი მერკვილაძეზე, შემდგომში საქართველოს ბავშვთა სპორტული მოძრაობის მესაჭეზე, გაიოზ ბერელაშვილზე, ირაკლი ლორთქიფანიძეზე, დავით ჯავრიშვილზე, სოსო ასლანიშვილზე, ვლადიმერ პროკოფიევზე, ივანე ბერიძეზე და საქმისთვის თავდადებულ სხვა მოღვაწეებზე.

„შევარდენის“ მიზანი და ამოცანები გარკვევით არის ჩამოყალიბებული იმავე სახელწოდების ჟურნალში. „ხალხის გაჯანმრთელება, ხალხის ზნეობრივი და სულიერი აღზრდა, აი რა აქვს დასახული „შევარდენს“ (1922, №1, გვ. 7), „გააძლიეროს საქართველოს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე, აღუზარდოს საქართველოს ღირსეული შვილები. განავითაროს მათში ვაჟკაცობა, მედგრობა, გამბედაობა, სიმარდე და ტანის სისხარტე“ (გვ. 8). „შევარდენი“ მოწოდებულია ქართველ ახალგაზრდობაში აღზარდოს სილამაზე, ღონე და ჯანმრთელობა“ (გვ. 75), და ბოლოს, აქედან გამომდინარე, ლოგიკური მოწოდება: „მაშ, მიეცით ფართო გზა „შევარდენს“, რათა მან მძლავრად გაშალოს ფრთები ჩვენი დაავადებული მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ“ (გვ. 14).

პირველ წელს „შევარდენში“ 10.000-მდე ტანმოვარჯიშე გაერთიანდა, რომელთა რიცხვი 1922 წლისათვის, ე. ი. მისი არსებობის ბოლო წლისთავს, 100.000-მდე ავიდა (შედარებისათვის: 1914 წელს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოქმედ „სოკოლის“ ყველა ჯგუფში მეცადინეობდა მხოლოდ 5.000 ტანმოვარჯიშე ერთად აღებული).

1921 წლისათვის თბილისში არსებობდა „შევარდენის“ 8 საზოგადოება (ასაკობრივი ჯგუფების ერთობლიობა), ქუთაისში — 1, ბათუმში — 1, ფოთში — 1, ახალსენაკში — 1, თელავში — 1, სულ 13 საზოგადოება.

„შევარდენში“ საწვრთნელი პროცესი, როგორც მეცადინეობების ოქმებიდან და თანამედროვეთა გადმოცემებიდან ჩანს, იმ დროის პირობაზე უმაღლეს დონეზე ტარდებოდა. დისციპლინა იყო სანიმუშო, დაგვიანება სასტიკად ისჯებოდა („შევარდენის“ საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე გ. ეგნატაშვილმა და გ. ნიკოლაძემ სამი წუთის დაგვიანებისათვის არ შეუშვეს მენშევიკური მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი, საბჭოს წევრი ნოე რამიშვილი).

ძალზე ორიგინალური და შთამბეჭდავი იყო შევარდნელთა ურთიერთმისალმება. ერთი შესძახებდა შემხვედრს: „გუმაგობ ერს!“, და მეორე უპასუხებდა: „მარად!“. ეს არ იყო ნაძალადევად მოგონილი ცერემონიალი, იგი ხელს უწყობდა დისციპლინას, მეგობრული გრძნობების განვითარებას, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის განწყობილების შექმნას.

„შევარდენი“ იყო საქართველოს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ფაქტობრივი მესაჭე. მან ერთ-ერთმა პირველმა იკისრა ქართული ხალხური სპორტის პოპულარიზაცია და მისი პრაქტიკული დანერგვისათვის ხელის შეწყობა. მისი თაოსნობით გამოვიდა გ. მერკვილაძის წიგნი „ქართული მოძრავი თამაშობანი“; და საერთოდ, სამი წლის მანძილზე „შევარდენმა“ იმდენი წიგნი გამოსცა, გიკვირს კიდეც ასეთი პროდუქტიულობა საგამომცემლო ტექნიკის მაშინდელ პირობებში; ეს არის: გ. ნიკოლაძის „საშევარდნო ტანვარჯიშის ტერმინოლოგია“ (ტექნიკური ლექსიკონის დამატება“), გ. ეგნატაშვილისა და ი. ლორთქიფანიძის სახელმძღვანელო — „თავისუფალი ვარჯიში“, დ. ჯავრიშვილის „საშევარდნო მწყობრის სახელმძღვანელო“, ს. ასლანიშვილის „პროფესორი მიროსლავ ტირში და მისი მნიშვნელობა შევარდნობის ისტორიაში“, მიროსლავ ტირშის „საშევარდნო ტანვარჯიშის ზოგადი თანწყობა“, ი. ლორთქიფანიძისა და ა. ბაქრაძის „ჯოხებით ვარჯიში“. ქუთაისში გამოიცა ჟურნალი „შევარდენი“ (1920 წლის თებერვალსა და მაისში, სულ ორი ნომერი), თბილისში კი გამოვიდა იმავე სახელწოდების ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი (1922 წ.).

„შევარდენის“ თაოსნობით 1920 წლიდან თბილისში გაიხსნა ტანვარჯიშის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კურსები, რომელმაც 1920-1921 წლებში 77 მსმენელი გამოუშვა; 1920 წელს II გიმნაზიასთან იმავე „შევარდენის“ ინიციატივით გაიხსნა ტანვარჯიშის ორწლიანი ინსტიტუტი, რომელსაც გ. ბერელაშვილი უძღვებოდა.

„შევარდენი“ სისტემატურად მართავდა საჩვენებელ გამოსვლებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში. გრანდიოზულობით და სილამაზით გამოირჩეოდა ტანვარჯიშული დღესასწაული, რომელიც ვაკის ტერიტორიაზე (ახლანდელი „გამარჯვების“ პარკის ადგილზე) ეწყობოდა. იგი ტარდებოდა 26 მაისს, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების დღეს. ცნობილი ქართველი პროზაიკოსი ალ. ქუთათელი, რომელიც თვით მონაწილეობდა ტანვარჯიშულ დღესასწაულში, რომანში „პირისპირ“ ასე აღწერს ამ სპორტულ ზეიმს: „მოვარჯიშენი ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ, სვლაში გადაჯგუფდნენ და მოედანზე დალაგდნენ. გურგენი (იგივე გურგელა, გიორგი ეგნატაშვილი, ა. ც.) მაგიდაზე შეხტა და მოვარჯიშეთ გასძახა:

— სმენა, მარჯვნივ გაიჯერ!

ოთხასი მოვარჯიშე სტადიონზე გაიშალა და, ჭადრაკის დაფასავით ოთხკუთხედად დადგა. ორკესტრმა საამური ჰანგი დაუკრა და ქალვაჟმა მასობრივი ვარჯიში დაიწყო, ჯერ უიარაღოდ, მერე კი ჯოხებითა და გურზებით. ამას უფრო საზრიანი და ლამაზი ვარჯიში მოჰყვა. მერმე დარჩეულმა ჭაბუკებმა და ქალებმა რთული და მრავალნაირი პირამიდები აღმართეს... პირამიდებს იარაღებზე ვარჯიშობა მოჰყვა“. ამის შემდეგ გამართულა წურთნელთა ჯგუფის ვარჯიში, რომელიც, ავტორის თქმით, ზეიმის გვირგვინი იყო. ყველაფერი ეს ფეხბურთის მატჩით დამთავრებულა. ზეიმს ათიათასობით თბილისელი



საქართველოს დამოუკიდებლო[...]

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირ, თანასწორი, [...] პორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, [...] 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის [...] საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის [...] მოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობი[...]

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თვისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერკავკასია.

„დარჩნენ რა თვისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს [...] საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდ[...]

2) დამოუკიდებელ საქართ[...] პუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობ[...] მწიფოა.

[...] საქართველოს დემოკრატ[...] თობის ყველა წევრთან კეთილ[...] კი მოსაზღვრე სახელმწიფოებ[...]

5) საქართველოს დემოკრატ[...] წორად უზრუნველჰყოფს ყველა [...] განურჩევლად ეროვნებისა, [...] სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატ[...] რეზს გაუხსნის მის ტერიტორი[...]

7) დამფუძნებელ კრების [...] საქმეს უძღვება ეროვნული საბ[...] სობათა წარმომადგენლებით, [...] წინაშე.

# ობის აღდგენის დღე—
# რესპუბლიკაში



## რას წერდა ქართული პრესა 1919 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავზე

**სტადიონზე**

„...კომპოზიტორ ფოცხვერიშვილმა პირველმა გახსნა სტადიონზე დღესასწაული ეროვნული ჰიმნის შესრულებით, რომელიც სამჯერ იქნა განმეორებული გაძლიერებული ორკესტრით.

შემდეგ შესრულდა „26 მაისის გუნდმა" მისივე ლოტბარობით სხვადასხვა ხალხური სიმღერები. მას გუნდს მოჰყვა კავსაძის გუნდის სიმღერა, თვით ტრადიციული „ვინა სთქვა საქართველოზე ეგ არის ლომი კვდებაო" და „ჰე, მუმლი და მუხა".

შემდეგ გაიმართა ფერხული, ლეკური, და ხალხური ადათ-ჩვეულებანი. დილმელი გლეხები გამოწყობილიყვნენ ორიგინალურ ბერიკების ტანსაცმელში, რომელსაც ისინი ყველიერში ასრულებენ.

ნაშუადღევის სრულ 2 საათზე სტადიონის მოედანი შევარდენის სავარჯიშო სანახაობებმა დაიკავა ადგილი...

ამ დიდებულ სანახაობას მეორე არა ნაკლებ უდიდესი სანახაობა მოჰყვა — ხევსურთა ფარიკაობა ანუ კეჭნაობა, როგორც ისინი ეძახიან... ფარიკაობას მოჰყვა ინგლისელებთან ერთად ბურთაობა, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელზე...

წესიერება სამაგალითო და კალმით აუწერელი სუფევდა და არც ერთ წუთითაც არ დარღვეულა".

**გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წ. 28 მაისი (№115).**

**შევარდნები**

„200 ვაჟკაცმა, 60 ქალმა და 150 ბავშვმა მწყობრით დარაზმულებმა გიმნასტიური ნაბიჯით გაიარეს მთელი სტადიონი...

ბავშვებმა შესრულეს სამი თავისუფალი ვარჯიში და ოთხ მწკრივათ დაშლილებმა სიარულით გამოხატეს სიტყვა „შევარდენი".

ბავშვები შეიცვალნენ მოზრდილ შევარდენთა ჯგუფით... მათზე ნაკლები მომხიბვლელი არ იყო ქალების ვარჯიშობა..."

**გაზეთი „საქართველო". 1919 წ. 28 მაისი (№108).**

„...ხორო უგალობდა სურათს 26 მაისის საგალობელს, ხოლო უკან სდევდა ვაჟთა კავალკადა შესანიშნავ ცხენებზედ, ყოველი კუთხის ტანსაცმელებში".

**გაზეთი „საქართველო" (№108).**

**ქრონიკა**

„შევარდენისთვის". განათლების მინისტრმა დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი „შევარდენის" მუშაობის გაფართოებისათვის 2 მილიონ მანეთის გადიდების შესახებ".

**ზუგდიდი**

„...შემდეგ გაიმართა მარულა ცხენოსნების, ძველი გასართობი, რომელიც რატომღაც ძველმა მთავრობამ აკრძალა, ხოლო დღეს მეგრელებმა კვლავ გაიხსენეს. ყველა განიცდიდა რაღაც იდუმალგამოუთქმელ მხიარულებას. ნაშუადღევს გაიმართა ბურთაობა და ჭიდაობა. საღამოს ქუჩები განათებული იყო. ხალხი გვიანობამდე განაგრძობდა სეირნობას და მხიარულებას".

**გაზეთი „სახალხო საქმე". 1919 წ. (№544).**

„გრანდიოზულია 26 მაისის დღესასწაულის სურათი, განსაკუთრებით ვაკეზე, სადაც უთვალავი ხალხია თავმოყრილი და ამფითეატრად დაწყობილი უცქერის „შევარდენთა" თუ სხვათა ვარჯიშობას".

**გაზეთი „სახალხო საქმე" 22 ივნისი, 1919 წ.**

ციტატა ამოღებულია 1918 წელს გადაღებული დოკუმენტური ფილმის რეცენზიიდან (რედ.).

---

და ახლო რაიონებიდან ჩამოსული მაყურებელი ესწრებოდა.

როდესაც საქართველოს სამხრეთ საზღვარს მეთერთმეტე არმია მოადგა, რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი განერიდა შეტაკებას, მაგრამ ერთმა ნაწილმა მაინც მიაშურა კოჯრის მიდამოებს და უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ბევრი დაეცა ამ ბრძოლაში, მათ შორის იყო სამი „შევარდნელიც". ჟურნალი „შევარდენი" შემდეგს გვამცნობს ამის შესახებ: „წარსული შული ამბებმა შეიწირა სამი წურთვნელი: ძმები ირაკლი თოიძე, გალია (გაბრიელ) გეხტმანი და მარო მაყაშვილის ასული, ჟურნალი დაწვრილებით აღწერს „შევარდნელი" მარო მაყაშვილის, ცნობილი ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის ასულის დაღუპვის ეპიზოდს: „1921 წლის თებერვალში თბილისის გარშემო აზმაურდნენ ზარბაზნები: ვერავითარმა მუდარამ ვერ გასჭრა მაროზე. „მე იქ უნდა ვიყო, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი ჩემი თანამემამულეთაო". 17 თებერვალს იგი ჩაეწერა წითელ-ჯვარში მოწყალების დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად გაემგზავრა კოჯრისაკენ. 19 თებერვალს, საღამოს, თბილისიდან 6 ვერსის მანძილზე, კოჯრის გზაზე მის გვერდით გასკდარმა მოწინააღმდეგე ბანაკიდან წამოსულმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა განაწამებ სამშობლოსა და მშობლებისათვის".

გასაბჭოების შემდეგ „შევარდენის" ხელმძღვანელობამ საქართველოს რევოლუციურ მთავრობას შესთავაზა თანამშრომლობა, აღუთქვა, რომ მისი მოწინავე მწვრთნელები კეთილსინდისიერად გაუძღვებოდნენ სამხედრო ნაწილების, „ვსევობუჩისა" და სკოლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეს, მაგრამ ეს გულწრფელი შეთავაზება, სამწუხაროდ, უარყვეს და 1922 წლის 3 ნოემბერს მოხდა „შევარდენის" რეორგანიზაცია. მის ბაზაზე შეიქმნა ბავშვთა პოლიტიკურ-სპორტული საზოგადოება „სპარტაკი", რომელსაც დიდი არაფერი გაუკეთებია და ორიოდე წლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა.

„შევარდენის" ყოფილი მწვრთნელები შემდგომში მაინც ჩადგნენ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის სამსახურში და ბევრი სასიკეთო საქმითა და გამარჯვებით ისახელეს თავი.

და ბოლოს, ერთი ფაქტის შესახებაც: ოციანი წლების დასაწყისში ქართულმა პრესამ და კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ჯვაროსნული ლაშქრობა გააჩაღეს „შევარდენის" წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ გაზეთი „სპარტაკი", ჟურნალები „ფიზიკური კულტურა", „ახალ სკოლისაკენ", „საბჭოთა ფიზულტურა" და „ფიზკულტურა და თავდაცვა", რომლებიც „შევარდენს" უწოდებდნენ ნაციონალისტურ, წვრილბურჟუაზიულ ორგანიზაციას, მის ლიდერებს კი — უცხოეთის ყურმოჭრილ აგენტებს. სწორედ მათი წაქეზებით და მთავრობის ბრმა მხარდაჭერით გაუქმდა „შევარდენი" და ფაქტობრივად ათეული წლების მანძილზე მას რეპრესირებული ორგანიზაციის იარლიყი ჰქონდა მიწებებული. შევარდნელთა დანაშაული თურმე ის იყო, რომ ქადაგებდნენ ჰუმანურ, ზოგადსაკაცობრიო იდეალებს, უყვარდათ თავიანთი დამოუკიდებელი სამშობლო და მიზნად ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური სრულყოფა დაისახეს.

აქ გასაკვირი არაფერი უნდა იყოს, თუ გავიხსენებთ 1924 წლის მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, იმ პერიოდში სოციალურად საეჭვო პირებისა და ადამიანთა მთელი ჯგუფების ყოვლად აუხსნელ რეპრესიებს. „შევარდენსაც" ყოვლად უცერემონიოდ, საქმის არსში ჩახედვის გარეშე, ამ ჯოჯოხეთურ ქვაბში გადაუძახეს.

დღეს „შევარდენი" რეაბილიტირებულია თვით ხალხის მიერ. მას თვით ქართველი ხალხის გული მიაგებს ღირსეულ პატივს. ამ საზოგადოების საქმიანობა დარჩება სპორტის ისტორიაში.

**ავთანდილ ციბაძე,**

---

**1919 წელი. ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა თბილისის ახლანდელი №1 საშუალო სკოლის ეზოში (ფოტო საქართველოს სპორტის მუზეუმიდან).**



**1919 წლის 26 მაისს მთელმა საქართველომ იზეიმა საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი.**

**გრანდიოზული დღესასწაული ჩატარდა თბილისში. ზეიმზე მონაწილეობა მიიღეს ტანვარჯიშის საზოგადოება „შევარდენის" (1918-1928 წწ.) წევრებმა და დიდი მოწონება დაიმსახურეს. ახალი სპორტული საზოგადოება, რომლის წინამორბედი იყო „ამირანი", 1918 წლის 26 მაისიდან — საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით „შევარდენად" იწოდებოდა.**

**ამის თაობაზე მკითხველებს ვთავაზობთ ცნობილი ქართველი ექიმის, საზოგადო მოღვაწის, მთამსვლელის ხოსო ახლანიშვილის წერილს.**

# 26 მაისი და „შევარდენი"

„**ქართველ** მშრომელ ხალხის ისტორიაში 26 მაისი დიდ მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი დღეა. როგორც დღეს, არც ერთი სხვა დღე ისე არ მოხვედრია ქართველ ხალხის სულს თავისუფლებისადმი ტრფიალი. ეს დღეა ქართველ ხალხის გაფურჩვნისა, მრავალ ბატონების თავიდან მოცილებისა.

ამ დღეს გასწყვიტა ამირანმა მონობის ჯაჭვი, რომლითაც საქართველოს თავისუფლება დიდი ხნის განმავლობაში სიბნელეში და წყვდიადში იყო მოცული. ამირანის სიმძლავრე ხომ საქართველოს სილამაზის გამოხატულებაა. და საერთოდ სიმძლავრე და სილამაზე ერმა 26 მაისში გამოხატა. ტყუილად კი არ მიიკუთვნა ეს დღე — 26 მაისი — დღე საქართველოს განთავისუფლებისა მისი მშვენიერებამ, ჯერ კიდევ ნორჩ „შევარდენმა".

26 მაისი — ეს „შევარდენის" დღეა. ამ სამ წელიწადში „შევარდენის"-ს გამოსვლა ტრადიციათ იქცა. ამ დღეს „შევარდენ"-თა მძლავრი ფრთების მოძრაობა ალამაზებს, აზურმუხტებს საქართველოს მიდამოებს. ამ დღეს უფლობს და ყოველივეს ფლობს „შევარდენი", ვინაიდან არ არის ადამიანი, რომლის სულს არ სწვდება გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. ამის თავდებია „შევარდენ"-თა მწყობრი მწკრივები, შევარდენთა ლამაზი მიხევა—ქანაობა—მოძრაობა — მუსიკალობა.

სამი წლის წინათ, როდესაც სულ ათიოდე კაცით დაიწყო მოქმედება „შევარდენ"-თა 1 საზოგადოებამ, დღეს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მოქმედობს უკვე თხუთმეტიოდე საზოგადოება, რომელიც შეკავშირებულია საქართველოს შევარდენთა კავშირში და ითვლის ათიათას წევრზე მეტს. მარტო ტფილისში, სადაც მოქმედობს რვა საზოგადოება, ვარჯიშობს ხუთი ათასი კაცი, ქალი და ბავშვი. ეს არის ნამდვილი ხალხი, ჩვენი ერის გულიდან გამოსული და მომავალში მძლავრი მუშაკები საქართველოს თავისუფლებისათვის თავგადადებული.

შევარდენთა კავშირი განაგებს ახალგაზრდათა ფიზიკურ აღზრდა განვითარებას როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე. მაშინ, როდესაც სამი წლის წინათ საქართველოს სკოლებში ირიცხებოდა მხოლოდ ექვსი ტანვარჯიშობის მასწავლებელი, დღეს უკვე ასორმოცდა ათ სკოლაზე მეტს ყავს სათანადოდ მომზადებული ტანვარჯიშობის მასწავლებელი. ამისათვის კი შევარდენთა კავშირს უკვე მოწყობილი აქვს ტფილისში ტანვარჯიშობის მასწავლებლების მოსამზადებლათ ტანვარჯიშობის ინსტიტუტი. სკოლის გარეშე კი თვით „შევარდენ"-ს საზოგადოებები, რომელთაც ყავთ თავისი შტატი მოსამსახურეებისა და წურთნელებისა ვარჯიშთათვის მეთაურობით, შევარდენში თქვენ ნახავთ მრავლათ მუშამოსამსახურეთა შვილებს, თვით მუშებს და მოსამსახურეებს, მასწავლებლებს, მხედრებს და სხვ.

დღეს დღეობით მიღებულია ზომები, რათა ტანვარჯიშობის საქმე სათანადოთ დაყენებულ იქნეს ჩვენს ნორჩ ქართულ წითელ ლაშქარში და ამასთანავე „შევარდენი"-ს დახმარებით ახლო მომავალში მოეწყობა აგრეთვე სამხედრო საყოველთაო სწავლა, რასაც რუსები „ვსეობუჩ"-ს ეძახიან და დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის სამი წლის თავზე „შევარდენი" კვლავ აღჭურვილი დიად იდეებით, თავისი ხალხის სიყვარულით, განაგრძობს თავის მოქმედებას, საქართველოს მშრომელ ხალხისათვის სამსახურს.

ვაშა „შევარდენ"-ს, გაუმარჯოს „შევარდენ"-ს.

**ხ. ახლანიშვილი.**

**გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი", 1921 წ. 26 მაისი.**

**პუბლიკაცია მოამზადა ხულიკო ნუცუბიძემ, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა.**

## მსოფლიო თასის შესარჩევი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში

# იმედი კიდევ არის

ფინიშის სუნთქვა იგრძნობა მოსკოვში, „იზმაილოვოს" ტურისტული კომპლექსის კინო-საკონცერტო დარბაზში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ერთ-ერთ შესარჩევ ეტაპზე. VII ტურში ყურადღების ცენტრში იყო შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერის სერგეი დოლმატოვისა და წამყვანი ჯგუფის ერთ-ერთი წევრის ბორის გელფანდის შეხვედრა. ეს პარტია, რომელშიც შავებით დოლმატოვი თამაშობდა, უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ჯერ გელფანდმა იგდო ხელთ უპირატესობა, მაგრამ ენდშპილში დოლმატოვმა უფრო ზუსტად ითამაშა და თამაშის განახლებისას (ეს პარტია გადაიდო) კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. ახლა მას 6 ქულა აქვს და კვლავ ერთპიროვნულად მიიწევს წინ. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ნ. დე ფირმიანი (აშშ), ვ. აკოფიანი და ვ. ჟავრიკოვი. 5 ქულა შეჯიბრების ხუთმა მონაწილემ მოაგროვა. ელიზბარ უბილავა 4,5 ქულით X-XXX ადგილებს იყოფს. ზურაბ აზმაიფარაშვილს 4 ქულა აქვს, ქეთევან არახამიას — 3,5, გენადი ზაიჩიკს — 3, მიხეილ იაილიანს — 2,5.

თუ წინა ტურში ჩვენებიდან მხოლოდ არახამიამ და იაილიანმა გამოიჩინეს თავი, VII ტურში ორივე მათგანმა მარცხი იწვნია — არახამიამ გიორგი ტიმოშენკოსთან შეხვედრაში, იაილიანმა კი ლეონიდ მუტმანთან პარტიაში. ამ დღეს მხოლოდ აზმაიფარაშვილმა გაიმარჯვა. იგი შავი ფერის ფიგურებით ხვდებოდა ვ. მალიშაუსკასს, კარგად წარმართა მთელი პარტია და მეტოქე აიძულა საათი გაეჩერებინა.

ე. უბილავას აუცილებლად უნდა მოეგო ა. ვიჟმანავინისთვის, რათა ლიდერთა ჯგუფს დაბრუნებოდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჭადრაკში არც თუ იოლია (შეუძლებელი თუ არა), გამარჯვების წინასწარ დაგეგმვა. ერთი სიტყვით, მთლიანი ქულა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა, ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა და ახლა უბილავა თავის იმედებს ბოლო 2 ტურზე ამყარებს.

**დავით ჭელიძე,**
**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.**



## მორიგი ტურის მატჩები

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**16 მაისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მართვე" (თბილისი) 100:96 (51:52). მსაჯები: გ. არუთინოვი (რესპუბლიკური კატეგორია) და ლ. ლორთქიფანიძე.**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გოგელია (17), ცაგარეიშვილი (15), ჯამარჯიშვილი (14), ცხვედიანი (14), ორმოცაძე (13), გაბრიჩიძე (10), ვაშაკიძე (8), ღლონტი (5), კოტრიკაძე (4).

**„მართვე":** ხელაშვილი (26), მ. ნიკურაძე (18), მურაიტოვი (17), ბარამიძე (10), ჯაფარიძე (9), გაბისონია (8), ბაქრაძე (7), ჩხეიძე (5).

**18 მაისი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მართვე" (თბილისი) 99:92 (44:41). მსაჯები გ. გრიგორიანი და ლ. ლორთქიფანიძე.**

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი:** გოგელია (17), ვაშაკიძე (17), გაბრიჩიძე (16), ცაგარეიშვილი (15), ჯამარჯიშვილი (12), ორმოცაძე (12), ცხვედიანი (10).

**„მართვე":** ხელაშვილი (25), მურაიტოვი (24), გაბისონია (17), მ. ნიკურაძე (10), ჯაფარიძე (5), ბაქრაძე (5), ჩუბინიძე (4), ქორქია (2).

„მართვეს" მოთამაშე ლევან ბაქრაძე უდისციპლინობისათვის გაძევეს მოედნიდან. იგი დისკვალიფიცირებულია ოთხი მატჩით.

**20 მაისი. „სინათლე" (თბილისი) — ბათუმი 97:82 (47:39). მსაჯები ს. მალალაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ზ. ზამთარაძე.**

**„სინათლე":** ქორქია (30), ტომარაძე (27), სინჯარაძე (12), ძიძიგური (9), დათიკაშვილი (8), ჩაჩანიძე (8), დვალი (3).

**ბათუმი:** შერვაშიძე (23), დიხამიძე (20), ზოიძე (16), ბაღათურია (10), ქლენტი (6), გაბელაია (4), კოლცოვი (3).

**21 მაისი. „სინათლე" (თბილისი) — ბათუმი 86:79 (47:44). მსაჯები: ზ. ზამთარაძე და გ. გრიგორიანი.**

**„სინათლე":** ქორქია (33), ძიძიგური (23), დათიკაშვილი (15), სინჯარაძე (6), ჩაჩანიძე (4), გოგიბედაშვილი (3), ტომარაძე (2).

**ბათუმი:** ზოიძე (25), შერვაშიძე (18), ქლენტი (11), დიხამიძე (10), ბაღათურია (6), მეტრეველი (4), კოლცოვი (3), მაისურაძე (2).

**20 მაისი. „აზოტი" (რუსთავი) — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 94:81 (49:41). მსაჯები ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია) და ა. უთალიშვილი.**

**„აზოტი":** მიჩილაშვილი (26), გაჩეჩილაძე (21), ასანიძე (15), კეჭაყმაძე (12), გოგობერიშვილი (11), კიკვიძე (5), არაბული (2), ძინძიბაძე (2).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** გურასპაული (36), სამხარაძე (25), მიქიაშვილი (11), ჭეიშვილი (5), ბარამიძე (4).

**21 მაისი. „აზოტი" (რუსთავი) — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) 122:81 (50:40). მსაჯები ა. როსტომაშვილი (საკავშირო კატეგორია), ა. უთალიშვილი.**

**„აზოტი":** აბაშიძე (29), გოგობერიშვილი (19), მიჩილაშვილი (16), კიკვიძე (14), კეჭაყმაძე (13), გაჩეჩილაძე (13), ბენდელიანი (10), ძინძიბაძე (4), არაბული (2), ბარამიძე (2).

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:** სამხარაძე (22), გურასპაული (18), ხაიაური (18), მიქიაშვილი (11), შეყრილაძე (4), ბარამიძე (4), ამაშუკელი (2), ღვლიკვაშვილი (2).

**20 მაისი. ქუთაისი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 73:83 (46:32). მსაჯები ი. მელაძე (რესპუბლიკური კატეგორია) და გ. თავხელიძე.**

**ქუთაისი:** გოგსაძე (24), გუბელაძე (17), წულაძე (11), აფრიდონიძე (9), ხაბულიანი (7), ბუაძე (5).

**უნივერსიტეტი:** ახვლედიანი (28), გ. ქართველიშვილი (14), კ. ქართველიშვილი (14), ბერუაშვილი (9), კოკოლიშვილი (6), ჯაფარიძე (6), ტურაშვილი (4), დვალი (2).

**21 მაისი. ქუთაისი — სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) 84:90 (40:49). მსაჯები: ი. მელაძე (რესპუბლიკური კატეგორია) და შ. ჯავახიშვილი.**

**ქუთაისი:** გოგსაძე (36), გუბელაძე (26), ხაბულიანი (8), წულაძე (5), აფრიდონიძე (4), დოლაბერიძე (2), ბუაძე (3).

**უნივერსიტეტი:** გ. ქართველიშვილი (21), კ. ქართველიშვილი (15), ახვლედიანი (14), ჯაფარიძე (13), კოკოლიშვილი (12), ტურაშვილი (7), ბერუაშვილი (6), ამილახვარი (2).

## საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში

### გათამაშების ცხრილები

**I ქვეჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპი (თბილისი) | 12 | 10 | 2 | 22 |
| ფისკ (თბილისი) | 10 | 8 | 2 | 18 |
| „სინათლე" (თბილ.) | 10 | 7 | 3 | 17 |
| „მართვე" (თბილ.) | 10 | 4 | 6 | 14 |
| ჭიათურა | 10 | 3 | 7 | 13 |
| „დინამო" (თბილ.) | 10 | 2 | 8 | 12 |
| ბათუმი | 10 | 2 | 8 | 12 |

**შენიშვნა:** 20-21 მაისს ჭიათურაში ადგილობრივმა კალათბურთელებმა ფიზკულტურის ინსტიტუტის (თბილისი) გუნდი მიიღეს და ორივე შეხვედრაში დამარცხდნენ. ამ მატჩების შედეგები ცხრილში შეტანილია.

**II ქვეჯგუფი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „უნივერსიტ." (თბ.) | 8 | 7 | 1 | 15 |
| „აზოტი" (რუსთ.) | 8 | 5 | 3 | 13 |
| ქუთაისი | 8 | 3 | 5 | 11 |
| სსმი (სოხუმი) | 6 | 4 | 2 | 10 |
| „შევარდ." (თბილ.) | 6 | 3 | 3 | 9 |
| სსი (თბილისი) | 8 | 0 | 8 | 8 |

## მომავალ ტურში:

**27 და 28 მაისს,** თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართება რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები:

„სინათლე" (თბილისი) — ჭიათურა. 27 მაისს დასაწყისი 16.00 საათზე, 28 მაისს — 11.00 საათზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი) — „აზოტი" (რუსთავი). 27 მაისს — 17 საათსა და 30 წუთზე, 28 მაისს — 12 საათსა და 30 წუთზე.

ჩემპიონატის მატჩები გაიმართება აგრეთვე ბათუმსა და სოხუმში. ბათუმში ადგილობრივი კალათბურთელები თბილისის დინამოელებს უმასპინძლებენ, სოხუმში კი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გუნდი თბილისის „შევარდენს" მიიღებს.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, X ტურის შეხვედრები.

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 6:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლები: ხოსროშვილი (2), ზარამიძე, კიურჯიევი-3 (პოლ. ინსტ.), გოგუა („სამეგრელო").

**„მზიური" (გალი) — „ივერია" (ხაშური) 2:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: ეთერია, ჩხეტია („მზიური"), რობაქიძე („ივერია").

მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის გააფრთხილეს ა. თევზაძე („ივერია").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (გაგრა) 2:1. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: წიქარიშვილი, იონანიძე („შადრევანი"), მანაგაძე („დინამო").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს რ. ხელაია („დინამო").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: ლობჟანიძე, ღვინიაშვილი („დურუჯი"), გოგსაძე („მალაროელი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ი. ბოჭორიშვილი („დურუჯი").

**„არაგვი" (დუშეთი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: ბედუკაძე („არაგვი"), შარაბიძე („მეტალურგი").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა) 1:2. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: პაიჭაძე (ფიზ. ინსტ.), ლუკავა, მორგოშია („სქური").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ტ. ბაქრაძე, ზ. მამუკაშვილი, ა. პაიჭაძე (სამივე — ფიზკ. ინსტ.), უხეში თამაშისთვის — დ. ჯოლოხავა, ხოლო განზრახ დროის გაყვანისათვის — ე. სალია (ორივე — „სქური").

**„სულორი" (ვანი) — „სიონი" (ბოლნისი) 2:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: დვალიშვილი, ფოფხაძე („სულორი"), დიზარევი-2 („მადნეული").

**„დინამო" (ზუგდიდი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 3:0. მსაჯი ი. კახიანი (სამტრედია).** გოლები: მაქაცარია-2, კონჯარია („დინამო").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 6:3. მსაჯი ო. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ლურწკაია, ვართანოვი, კაკუბავა, დარასელია, ეთერია-2 („ამირანი"), ზვარეშია, ფანჩულიძე-2 („საპოვნელა").

**„არმაზი" (მცხეთა) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლი: სონღულაშვილი („არმაზი").

გასულ კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის გამოტოვებული შეხვედრები.

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: გაგნაშვილი („ბახტრიონი"), კაკუბავა („ამირანი"),

მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის გააფრთხილეს ე. გაგნაშვილი („ბახტრიონი").

**პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მზიური" (გალი) 2:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: მაღრაძე, სირაძე (პოლ. ინსტ.), აბშილავა („მზიური").

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ა. კიურჯიევი (პოლ. ინსტ.).

**„არმაზი" (მცხეთა) — „დინამო" (გაგრა) 2:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: აფციაური, სონღულაშვილი („არმაზი"), ქაშიბაძე, დგებუაძე („დინამო").

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:2. მსაჯი მ. მალაღურაძე (თბილისი).** გოლები: ჯანაშია, ფესტვენიძე („შადრევანი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ზ. მამუკაშვილი (ფიზკ. ინსტ.) ხოლო მსაჯის გადაწყვეტილების უარყოფისთვის — რ. იობიძე („შადრევანი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:1. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).** გოლი: ეთერია („ამირანი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს დ. კაკუბავა („ამირანი"), ხოლო მისი თანაგუნდელი გ. ვართანოვი გაფრთხილებულია მსაჯთან კამათისთვის, უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თ. ვარადაშვილი („დურუჯი").

### მეორე ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„თრიალეთი" — „გარისი" 1:1, „საჰგორი" — სსი (მუხრანი) 1:4, „ჰერეთი" — „ქიზიყი" 4:1, „ალგეთი" — „კახეთი" 1:1, „მიონი" — „განთიადი" 7:3, „ალაზანი" — „შირაქი" 6:0, „გარეჯი" — „კოლმეურნე" 0:2.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

„მამისონი" — „იბერია" 3:1, „ჩიხურა " — „ზარზმა" 5:3, „აბული" — „ლიახვი" 5:0, „ჩხერიმელა" — „ფარვანა" 5:0, „მესხეთი" — „მეშახტე" 8:2, „განთიადი " — „ქართლი" 0:3, „ვარძია" — „საირმე" 3:0. „საირმე" — „თორი" 2:2.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„იმერეთი" — „ბეთლემი" 3:1, „დვაბზუ" — „ნარინჯი" 1:1, „დარჩელი" — „ეგრისი" 1:1, „ჩიბათი" — „ხვამლი" 6:3, პოლ. ინსტ. (ქუთაისი) — „მენავთობე" 3:0, „ოდიში" — „სალხინო" 3:3, „ფაზისი" — „მეშახტე" 2:1, „სუბტროპიკი" — „მშენებელი" 2:1.

## სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში • I ლიგა

**გუშინ** ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) დამთავრდა I ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის თბილისის ტურნირი. ასპარეზობის ბოლო დღეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა სიმფეროპოლის „სპარტაკი" — 82:65 (41:27), ხოლო კიევის „შრომითი რეზერვების" კალათბურთელებმა სძლიეს ფრუნზეს „სტროიტელს" — 81:80 (41:46).

# მოზარდი ფალავნების ზეიმი

(დასასრული)

ბაა და იქ სხვანაირი მოქცევაა საჭირო.

**ტექნიკური შედეგები:**

**29 კგ.** 1. ვანო ბექაური (ახმეტა), 2. შოთა შარუმაიძე (არხილოსკალო, წითელწყარო), 3. გელა პაპუაშვილი (საგარეჯო).

**32 კგ.** 1. მამუკა მათიაშვილი (საგარეჯო), 2. საული კახიანი (მესტია), 3. გიორგი დვალიშვილი (მახარაძე).

**35 კგ.** 1. ილიკო გურაშვილი (სიღნაღი), 2. რამაზ აგულაშვილი (გურჯაანი), 3. გიორგი ლომიძე (გორი).

**38 კგ.** 1. კაპიტონ ქორქოლიანი (მესტია), 2. მერაბ მაღლაკელიძე (ქუთაისი), 3. ნიკა ბენიაიძე (არხილოსკალო).

**41 კგ.** გიორგი ურდულაშვილი (საგარეჯო), 2. ალექსანდრე ფოფხაძე (ამბროლაური), 3. მანუჩარ კვანჭიანი (მესტია).

**45 კგ.** 1. გეგი ვიბლიანი (მესტია), 2. პაატა ჩიგილაშვილი (ზემო ხოდაშენი, ახმეტა), 3. ზაზა ხაჩირაშვილი (გორი).

**49 კგ.** 1. ზვიად ჯაფარიძე (მესტია), 2. ბექა ონიაშვილი (ახმეტა), 3. სოსო ჯანელიძე (წყალტუბო).

**53 კგ.** 1. ზაურ გელხვიძე (ქუთაისი), 2. გია ბოდაველი (ახმეტა), 3. შალვა დავითაშვილი (სიღნაღი).

**57 კგ.** 1. გიორგი შუკაკიძე (ოკამი, კასპი), 2. ვიქტორ თიგიშვილი (ახმეტა), 3. დათო ინაშვილი (სიღნაღი).

**+57 კგ.** 1. სოსო ბესტაევი (ქარელი), 2. ივერი მამუკელაშვილი (ახმეტა), 3. დავით მამაიაშვილი (სიღნაღი).

**გუნდური:** 1. ახმეტა — 54 ქულა, 2. მესტია — 45, 3. ქუთაისი — 45, 4. საგარეჯო — 35, 5. სიღნაღი — 25, 6. ამბროლაური — 20 7. გორი — 20, 8. ლენტეხი — 8.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს 8 რაიონის 108 ნორჩი ფალავანი. შეჯიბრება ჩატარდა თბილისის სახალხო განათლების ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**



**27-28 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება საქველმოქმედო კონცერტი როკ-ჯგუფი „გალაქტიკა".**

სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი ჯანაშვილი.

მუსიკალური ხელმძღვანელი დავით არჩვაძე.

დასაწყისი 20 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

შემოსავალი გადაირიცხება 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალსა და აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი 66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10375